საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით ბატონიშვილის მონეტა



დავით ბატონიშვილის მონეტა სპილენძი XIX ს. ზემოთ – შუბლი ქვემოთ – ზურგი ბერლინის მუზეუმი

დავით ბატონიშვილის მონეტა, სპილენძის უნიკალური ანონიმური მონეტა, მოჭრილი ერეკლე II-ის შვილიშვილის დავით ბატონიშვილის გამგებლობის დროს.

შუბლზე გამოსახულია მარცხნივ მიმართული ფარშევანგი, ქვემოთ კი – თარიღი ჰიჯრით 1215 (1800/1); ზურგზე – ჩარჩოში მოთავსებულია 4 ქართული ასო „ტფლს" (ტფილისი). მ. პ. ბარათაშვილის კოლექციასთან ერთად დაცულია ბერლინის მუზეუმში.

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.

გ. დუნდუა